

„საერთაშორისო აკადემია ლოგოსი“

სახელი გვარი .....

თარიღი.....2017

8 კლასი

1) თუ  $A = 120^\circ$ , მაშინ მისი მოსაზღვრე კუთხეა ?

- ა) მახვილი                      ბ) ბლაგვი                      გ) მართი                      დ) გაშლილ

2) გიორგიმ პატარა კალათში ისროლა 12 ბურთი. პატარა კალათში ჩაგდებული ყოველი ბურთისთვის იგი იღებდა 7 ქულას. თუ იგი ააცდენდა პატარა კალათს, მაშინ აცდენილ ბურთს ისროდა დიდ კალათში. დიდ კალათში ჩაგდებული ყოველი ბურთისათვის გიორგი იღებდა 5 ქულას. თუ იგი ააცდენდა დიდ კალათსაც, მაშინ თითოეული ასეთი ბურთისათვის აკლდებოდა 3 ქულა. ცნობილია, რომ გიორგიმ დიდ კალათში ჩააგდო 7 ბურთი და სულ მოაგროვა 50 ქულა. რამდენი ბურთი აუცდენია გიორგის დიდი კალათისთვის?

- ა) ერთი                      ბ) ორი                      გ) სამი                      დ) ოთხი

3) თუ C წერტილი A და B წერტილებს შორისაა, მაშინ

- ა)  $AB = AC + CB$                       ბ)  $AB > AC + CB$                       გ)  $AB < AC + BC$                       დ)  $AB = AC - C$

4) სახლი, სკოლა, მაღაზია და კინო ამავე თანმიმდევრობით ერთ გზაზეა განლაგებული. ნატა სახლიდან კინოში წავიდა. იგი დასასვენებლად მაშინ შეჩერდა, როდესაც უფრო მეტი მანძილით იყო დაშორებული მაღაზიიდან, ვიდრე სკოლიდან. სად შეჩერდა ნატა დასასვენებლად, თუ ცნობილია, რომ იგი გასცდა სკოლას?

- ა) მაღაზიასა და კინოს შორის                      გ) სკოლასა და მაღაზიას შორის

- ბ) სახლსა და სკოლას შორის                      დ) ამის გაგება შეუძლებელია

5) რა რიცხვების შესაბამისი წერტილებია A(4) - დან 9 ერთეულით დაშორებული?

- ა) -9 და 9                      ბ) 0 და 13                      გ) -5 და 5                      დ) -5 და 13

6) ტურისტი ქალაქ ლონდონის დათვალიერებისას ყოველ ოც წუთში ერთხელ ერთ სურათს იღებდა. მან პირველი სურათი ცნობილ საათს, სახელად `ზიგბენ~ს გადაუღო. ამ დროს `ზიგ ბენი~ ზუსტად შუადღის თორმეტ საათს უჩვენებდა. რომელ საათზე გადაიღებდა ტურისტი მეათე სურათს?

- ა) 14 საათზე                      გ) 14 საათსა და 20 წუთზე  
ბ) 15 საათზე                      დ) 15 საათსა და 20 წუთი

7)  $|x| = 5$  განტოლების ფესვებია:

- ა) 0 და 2                      ბ) მხოლოდ -5                      გ) მხოლოდ 5                      დ) 5 და -5

8) გიას, იას და ანოს აქვთ სხვადასხვა ფერის ქუდეები: მწვანე, ყვითელი და ლურჯი (თითოს თითო). თითოეულს ჰკითხეს ქუდეების შესახებ.

გიამ თქვა: *\_ ანოს არ აქვს ყვითელი ქუდი, იგი აქვს იას.*

იამ თქვა: *\_ მე მაქვს მწვანე ქუდი.*

ანომ თქვა: *\_ იას აქვს ყვითელი ქუდი.*

ცნობილია, რომ ამ სამიდან ერთ-ერთი ამბობს სიმართლეს, ორი კი იტყუება. ვის აქვს ლურჯი ქუდი?

- ა) gias    ბ) ias    გ) anos    დ) amis gageba SeuZlebelia

9) თუ წერტილის აბსცისა არის 3, მაშინ ორდინატთა ღერძის მიმართ მისი სიმეტრიული წერტილის აბსცისა არის:

- ა) 6                      ბ) 3                      გ) -3                      დ) 0

10) ახლა ტასო 27 წლისაა, მისი ტყუპი ძმები \_ ნოდარი და მერაბი კი ტასოზე უმცროსები არიან. რამდენი იქნება ნოდარის და მერაბის წლოვანებათა ჯამი 7 წლის შემდეგ, თუ ცნობილია, რომ და-ძმების წლოვანებათა ჯამი ახლა 63-ია?

- ა) 25                      ბ) 32                      გ) 43                      დ) 50

11) მოცემულია ორი სიმრავლე:  $A = \{1; 2; 7; 9; 10; 12; 15\}$  და  $B = \{0; 3; 5; 6; 7; 8; 9; 11\}$ .  
იპოვეთ  $A \cup B$  და  $A \cap B$ .

12) გამოთვალეთ:  $0,125^{12} \cdot 2^{37}$

13) ფოსტალიონმა ფოსტიდან სახლში მოსვლას და უკან დაბრუნებას 0,9 სთ მოანდომა.  
ფოსტიდან სახლში ის 4 კმ/სთ სიჩქარით მიდიოდა, სახლიდან ფოსტაში კი 5 კმ/სთ  
სიჩქარით. რა მანძილია სახლიდან ფოსტამდე?

14) ამოხსენით განტოლება:  $5(1 - 20,2x) + x = 10(1 - 10x)$

15) მართკუთხედის პერიმეტრი 46 სმ-ია. პერიმეტრის შეფარდება უდიდეს გვერდთან  
არის  $23 : 9$ . იპოვეთ მართკუთხედის გვერდები.